ხელშეკრულება № 4/1

ქ. თბილისი, „17“ თებერვალი 2011 წელი

ერთის მხრივ სსიპ **„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში – დამკვეთი), მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ი. ავალიანის სახით და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი კახაბერ ხიმშიაშვილი (შემდგომში – შემსრულებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ ბიუჯეტის (საკუთარი შემოსავლები) სახსრებით, არქიტექტურული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა (**CPV კოდი 71210000**), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტია 2011 წლის 17-18 თებერვალს, თურქეთის რესპუბლიკაში არსებული ქართული ძეგლების – ოშკისა და იშხანის სამონასტრო კომპლექსების მდგომარეობის შესწავლის მიზნით არქიტექტურული საკონსულტაციო მომსახურება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

3.1 შესყიდვის ობიექტის ჩაბარება მოხდება ერთჯერადად.

3.2 მიწოდება უნდა განხორციელდეს 2011 წლის 17-18 თებერვალს.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 20 მარტის ჩათვლით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსი - პაატა გაფრინდაშვილი.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება შესყიდვის ობიექტის მიწოდების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

6.3 ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უნაღდო საბანკო გადარიცხვის ფორმით ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.3 მხარეები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის გადაიხდიან პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.4 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ ცხადი გახდა, რომ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებშიც არ შეუძლია შემსყიდველს მიაწოდოს მთლიანი შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი;

(ბ) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

7.5 მიმწოდებელი ვალდებულია განიხილოს შემსყიდველის მომსაზრებები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, ასევე მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი დასკვნების მომზადება;

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

9.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

10.2 ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან თითო-თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო
მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის №5
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა № 200122900
ს/კოდი: 204562311

გენერალური დირექტორის მოადგილე

ი. ავალიანი

მიმწოდებელი:

ფ/პ კახაბერ ხიმშიაშვილი
მის: ქ.თბილისი, შანიძის ქ. №25
ს.ს. „თიბისი ბანკი“

კოდი: 220101830;
ა/ა № 68645161622337
პირადი № 01018002655

ფიზიკური პირი

კ. ხიმშიაშვილი